

„ეფრობის ხელოვნებასთან დაკავშირებული ზოგიერთი
საკითხი“

1927 წ.

(წაკითხული მწერალთა კავშირის შენობაში „ხელოვანთა სახახლეში“)

დღევანდველი ჩემი მოხსენება არ შეეხება მარტო დასავლეთ ევ-
რობის ხელოვნების მდგომარეობას და ამ მოხსენებას არა იქვს
განსაკუთრებული ინფორმაციული ხასიათი. ეს იმ მოსახრებით,
რომ, ერთის მხრივ, შეუძლებელია იმ მცირე დროში, რაც ჩვენს
განკარგულებაშია, დავახსაგათოთ დღევანდველი მდგომარეობა ევ-
რობის ხელოვნებისა, და მეორეს მხრივ, რომ ეს დახსაგათობა მი-
ზანს აღწევდეს და მარტო ფორმულების ლაპარაკად არ გადაიქცეს
საჭიროა მაგალითებით იქნეს დასურათებული, რასაც ჩვენ ახლა
ვერ ვახერხებთ. ამიტომ ჩემი მოხსენება უფრო საზოგადო ხასია-
თისა იქნება და ევრობის ხელოვნება კი მხოლოდ საზოგადო ხაზ-
ებში იქნება აღნიშნული.

ამასთანავე, ამ მოხსენებაში განსაკუთრებით მინდა შევებო
ევრობის ხელოვნების მნიშვნელობის საკითხს და მასთან ჩვენი და-
მოქიდებულების ვითარებას. ეს ორი საკითხი მე მიმართა ჩვენ-
თვის მნიშვნელოვან საგნად, ვინაიდან მხოლოდ ამ საკითხების გა-

შემდეგ გასაუბი იქნება ჩვენი ინტერესი ევროპის ხელოვნებისადმი ამ საკითხებთან დაკავშირებით, დაბოლოს, მინდა ზევე მხატვრობის ინსტრუქტულ მდგომარეობას ჩვენში, ესე იგი მხატვრობის სასკოლო მეთოდთლოვის საკითხს.

საკითხების ამგვარად დაყენებამ და ჩემი მოხსენების ამ სახის შინაარსში შეიძლება უკრაფულილება დაბალოს, მაგრამ მე მგონია, რომ ჩვენი მხატვრობის დღვევანდელი მდგომარეობის პირობებში ამ საკითხების განხილვა მიზანშეწონილი და სადღეისოა!

1. დასავლეთ ევროპის კულტურის შესახებ თითქმის ყველვან გავრცელებულია აზრი, რომ ვითომც ეს კულტურა გადაგვარების უზას აღვია. მაგალითად, გერმანიაში ამ აზრის საუკეთესო გამომხატველი არის ცნობილი მოაზროვნე შპენგლერი, რომელიც გამოაქვეყნა ამ საკითხზე ყველასათვის ცნობილი და ღირსშესანიშნავი წიგნი: „დასავლეთის დაბნელება“, ამ აზრების ანარეკლი მოიპოვება ჩვენს ლიტერატურაშიც.

მხარობენ შემდეგ გამოთქმას: რომ ევროპის კულტურა ნგრევის პერიოდშია, რომ მისგან ჩვენ არაფრის არ უნდა ვიღოდეთ. რომ იქ ჩვენ არაფრის შეძენა-შესწავლა შევგვიძლია, და ჩვენ უნდა ვაურბოდეთ მას, როგორც გახრწნილ ლეში. ამრიგად, ვინაიდან დასკვლეთ ქვეყნის ვახრწნილ კულტურას ჩვენთვის არაფრის მოცემა შეუძლია, ჩვენ პირი უნდა ვიბრუნოთ ოღონსავლეთისაკენ, აზიისაკენ და ხსნა ამ მხარეში ევძიოთ.

ამნაირი წარმოდგენა დასავლეთ ქვეყნის კულტურაზე არის მხოლოდ თავისთავის მოტულება და გარებულების ნამდვილი სახის არცოდნა. ეს შეხედულება უკვე დრო არის, მიტოვებული იქნეს და ჩუქროვის სასარგებლოდ საჭიროა სინამდვილე იქნეს აღიარებული.

და მართლაც, თუ ჩვენ თვალს გადავავლებთ საბჭოთა რესპუბლიკების აღმშენებლობას, დავინახავთ, რომ ეს აღმშენებლობა ცუილობს განამტკიცოს ცხოვრებაში ის საგნები, რომელიც ექუთენიან საქვეყნო კულტურის და ცივილიზაციის დამკაიდრების საუკეთესო იარაღებს. ყველა ეს საგნები შედეგია დასავლეთ ქვეყნის კულტურული მიღწევებისა. დღეს ჩვენი ქვეყანაც ცდილობს გადმონერგოს ცივილიზაციის ეს იარაღები ჩვენს ტერიტორიაზე, რომ ამით მიუახლოვდეს თანამედროვე კულტურულ ცხოვრებას. აღმშენებლობის ფაქტად გადაქცევა მხოლოდ ამ საგნების დამკვიდრე-

ბაშია. რომ ჩვენი დამოკიდებულება ევროპის კულტურასთან რეალურად ამ სახით არის, ჩანს ბევრ აღვილობრივ მაგალითებში... საქმიარისია მოვიყვანო მაგალითად ქუჩის საჩვენებელი პლაკატები, რომელიც მე ჩვენში მინახავს, სადაც, სხვათა შორის აღნიშნულია დასავლეთ ქვეყნების მიღწევები ჩვენს დაქვეითებულ ცხოვრებასთან შედარებით.

ამრიგად, საბჭოთა კავშირის სინამდვილეში ჩვენ ვხდეთ, რომ საბჭოთა ოლმენებლობა მდგომარეობს დასავლეთ ქვეყნების ცივილიზაციის იარაღების გამოყენებაში, ამ იარაღების შესწავლაშია და განა ეს შესაძლებელია, თუ კულტურა, რომელმაც ეს იარაღები წარმოშეა, გაბრწინილობის გზაში იდგეს და განა შეიძლება იმის თქმა, რომ ეს კულტურა ჩვენ არაფერს გვაძლევს. კველა-სოფერის ცხადი უნდა იყოს, რომ კულტურული მიღწევების უნარი დასავლეთ ქვეყნებში არ ჩატვიდარა, წინმსვლელობა არსებობს და ჩვენი ქვეყნის პირობებში კი კიდევ ბევრი რამ გვინდა, რომ ახალი იარაღები აღმოვაჩინოთ, დამოუკიდებლობა და პირველობა ვიკისროთ.

2. რომ ზემოდმოყვანილი სწორედ გაგებულ იქნეს, საჭიროა ალვნიშნო ის ორი ფაქტორი, რომელიც ახასიათებს თანამედროვე კულტურას და საზოგადოებრივ ცხოვრებას: პირველი არის ამ კულტურის მიერ შექმნილი საგნები, რომელსაც აქვთ უნივერსალური ღირებულება (საგნები ინდუსტრიალური მაშინიშმისა) და მეორე — ამ საგნების განაწილება საზოგადოებაში და მისი მოხმარების ფორმა.

პირველი წარმოადგენს თანამედროვე ცხოვრების უმთავრეს საჭიროებას. ჩვენი ცხოვრების მატერიალური მხარის გაუმჯობესება დამოკიდებულია ამ საგნების რაციონალურ მოხმარებაზე და კაცობრიობის პროგრესის ერთი უმთავრესი ფაქტორი აუცილებლად ამ ინდუსტრიალური მაშინიშმის საგნების გაუმჯობესებაშია.

მეორე ფაქტორი — სახელდობრ ინდუსტრიალური მაშინიშმის მიერ წარმოშობილი საგნების განაწილება საზოგადოებაში ჩვენ გვაძლევს სოციალურ თუ პოლიტიკურ ძალთა განწყობილობის სურათს. დასავლეთ ქვეყნების დღევანდელი სოციალური თუ პოლიტიკური დაჯგუფება, ისე როგორც საბჭოთა რესპუბლიკების

სოციალური დაჯგუფება, კი არ უქარვავს ამ საგნებს თავის კულტურულ მნიშვნელობას, ან კი არ სპობს საშუალებებს ამ დარგში ახალ მიღწევების აღმოჩენისას. დღეს ეს დაჯგუფება მხოლოდ მოწმობს საზოგადოების სოციალურ წრეებში სხვა და სხვა წონით ამ საგნების განაწილებას და სხვადასხვა მიზნით ამ საგნების მოხმარებას. სოციალურ კლასთა ბრძოლის საკითხი სწორედ ამ უკანასკნელ ფაქტორით არის გამოწვეული.

3. ის, რაც საზოგადოთ ეკროპის კულტურას შეეხება, შეიძლება ითქვას აგრეთვე ეკროპის ხელოვნების შესახებ. დასავლეთ ქვეყნების თანამედროვე ხელოვნების მიღწევები არ წარმოადგენენ მხოლოდ ადგილობრივ ღირებულებას, არამედ მათ უნივერსალური მნიშვნელობა იქვთ. ეს მიღწევებიც აუცილებლად პროგრესიული ელემენტია თანამედროვე კულტურისა და თუ ჩვენ ვცდილობთ თანამედროვე კულტურის იარაღების ჩვენში გამოყენებას, უნდა ეცალოთ აგრეთვე ეკროპის ხელოვნების მიღწევათა გაცნობასაც.

ამასთანავე უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველგვარ კულტურულ მოვლენებში განსაკუთრებული მნიშვნელობა იქვს მოწინავე ფაქტორებს, იმიტომ, რომ მხოლოდ ამ მოწინავე ფაქტორების გავლენით იქმნება კულტურის პროგრესი. და თუ ჩვენ გვსურს კულტურულ მშენებლობის თანამედროვე დონეს არ დაგმორდეთ და განვაჭრებოთ ახალი შემოქმედების უნარი, საჭიროა ამ კულტურის მოწინავე ელემენტების გაცნობა.

ჩვენთვის საჭიროა ვიცნობდეთ ამ მოწინავე ხელოვნების მიღწევებს, ვსარგებლობდეთ მათი, და ამ საშუალებით ჩვენს პირობებში, ჩვენს მიწაზე აღმოცენებულ ხელოვნებასაც აქტიუალობა მიუანიჭოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, როდესაც ჩვენ ხელოვნებაში დაძველებულ ფორმებით ესაზრდოობთ, რაც კარგი არ უნდა ყოფილიყო ეს ფორმები თავის დროისათვის, ჩვენი თანამედრობისათვის ის არ შეიძლება გახდეს პროგრესიულ ელემენტად.

ამ მოსაზრებით მე აქ შევეხები ეკროპის მხოლოდ მოწინავე ხელოვნების ჭითარებას და მასთან დაკავშირებულ ზოგიერთ საქითხებს.

ეკროპის თანამედროვე მოწინავე ხელოვნებაში საფრანგეთის (ან უკეთ რომ ვსოდეთ პარიზის) ხელოვნებას განსაკუთრებული აღვილი უჭირავს. საფრანგეთის მხატვრობასთან დაკავშირებით:

პირველად ჩვენს ღროში, პარიზში მოხდა ახალი მხატვრული იდეა-
გბის წამოყენება, იქვე დაიწყო ამ იდეების დამუშავება, მერმე ეს
იდეები მოედო ევროპის ყველა ქვეყანას და მიეცა მას ფართო,
საერთაშორისო ხასიათი. ამიტომ, თანამედროვე ევროპის მოწინავი
ხელოვნების აზრის გასაკეთებად საჭიროა პარიზის ახალი ხელოვ-
ნების გზის გათვალისწინება.

აშინელ პარიზის მოწინავე მხატვრობას ოცი წლის ისტორია
აქვს. მისი დასაწყისად 1906 წელი უნდა ჩათვალოს, როდესაც
ჩაეყარა საძირკველი ეგრეთ წოდებულ „Fauvism“-ს მიმართუ-
ლებას, შემდეგი მხატვრების ინიციატივით: Matisse, Braque, Van
Dongen, Vlaminck, Dufy, (Friesz). ეს მიმართულება იყო გამო-
წვეული აკადემიური და პოსტ-იმპრესიონისტული უდისციპლინო-
ბის და ახევლარების მიერ. Fauvism პირველად შეეცადა შეეტანა
მხატვრულ მუშაობაში დისციპლინა. ის წინ აღუდგა იმპრესიონის-
ტების საყვარელ საგანს — ბუნების გადმოცემას ჩვენი გრძნობების
მიხედვით, და წამოაყენა ახალი შეხედულება: გრძნობიერობის
გადმოცემა ბუნების გავლენის გარეშე. ამ მიმართულების მხატვრებ-
მა მიაქციეს ყურადღება აგრეთვე წარსულის ხელოვნების მნიშვნე-
ლოვან ნაწარმოებთ, სწავლობდნენ მას, ცდილობდნენ ვეეტანათ
მხატვრობაში წესი და ზომიერება. განსაკუთრებით კი მიაქციეს
ყურადღება სურათის კონსტრუქტიულ სახეს, მუშაობანენ მის
შემადგენელ ელემენტებზე — ფერზე და ხაზზე. მაგრამ, მიუხე-
დავად მათი ბევრი დადებითი მხარეებისა, Fauvism-მა მაინც ვერ
შეძლო მთლიანად განვითაროთ და გაელრმავებია ახალი მხატვ-
რობის აზრი. Fauvism — რომ ვთქვათ უფრო მხოლოდ დასა-
წყისი იყო იმ უნივერსალური ახალი აზრებისა და მხატვრობაში
რევოლუციონურ მოქმედებისა, რომელიც კუბიზმით წარმოჩნდა.
ეს მოხდა დაახლოებით 1910 წელში — კუბიზმის დასაწყისი იყო
ნამდვილი რევოლუციონური ხასიათისა, როდესაც მხატვრული
ახალი შეგნება ნათლად დაუპირდაპირდა წარსულს. ეს იყო დრო
დიდი ენტუზიაზმისა, ახალგაზრდობრივი გატაცებისა. აღურთოვა-
ნებისა, და ამავე დროს დიდი შემოქმედების ძალისა. ამ დროს
იწყება შეგნებული მოძრაობა ხელოვნების ახალი ფორმალური
მხარეების დასამუშავებლებლად. მეტად საყურადღებოა, რომ ახალი
ფორმულების აღმოჩენის დიდათ ხელს უწყობდა სხვა ქვეყნების

შორეული წარსულის ხელოვნების გაცნობა და გამსაკუთრებით აღმოსავლეთის ხალხების და ოფრიკის (ზანჯების) ხელოვნება. კუბიზმი დაიყვანა მხატვრულ ემოციონალური განცდები ხელოვნების ნამდვილ წყაროსთან, ესე ივა, მან განამტკიცა საგნის, ფორმის გრძნობიერობის გაზმოცემა და უარყო ჩვენი გრძნობის გამოსახვა. სურათის კონსტრუქტიული სახეც სავსებით იქნა გარევეული. განსაკუთრებული ყურადღება იქნა მიქცეული ხაზის და ფერის ანალიზს. აღდგენილ იქნა ლოკალური ფერი. ამავე დროს, მხატვრობის ფორმალური საკითხების გარდა კუბიზმი განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია დღევანდული ცხოვრების ტეხნიკის მიღწევების შინაარსს და მაშინიში, როგორც ცხოვრების ახალო აზრი, მისთვის გადაიქცა გამოსახულობის ერთ მნიშვნელოვან საგნაც.

კუბიზმის დაარსებიდანვე მათი მოწინააღმდეგენი გაიძახოდენ მისი უდროოდ გარდაცვალების შესახებ და მის შემდეგ არა ერთსელ, დრო გამოშვებით, მიუბარებიათ ის მიწას. დღესაც შეხვდებით ამ აზრს, კითომც კუბიზმი უკვე მხოლოდ ისტორიას უკუთვნოდეს (ეს აზრი მე აქ ჩვენს ლიტერატურებშიც გამიგონია). რასაკვირველია შეუძლებელია კუბიზმის სიკვდილზე ლაპარაკი. ის ისტორიას კი არ უკუთვნის, არამედ მას აქვს მხოლოდ უკვე მის მიერ განვლილი დროის ისტორია. კუბიზმი, როგორც ასეთი, არ ასახავს მარტო თავისი პირველი პერიოდის მუშაობას, როდესაც მხოლოდ საძირკველი ეყრდნობა მხატვრულ ახალ იდეებს. ეს სახელი შეიძლება უფრო ხანგრძლივ პერიოდს ევროპის ხელოვნებისა კუთვნოდეს. თუ გნებავთ, საბოლოოდ შეიძლება თქვას, რომ კუბიზმი მისაღებია მხოლოდ როგორც ტერმინი, აზრი გამოსახატავიდ, ისე კი შეიძლება ის სრულებით არ არსებობდა. ჩვენთვის კუბიზმი საინტერესო მხოლოდ მისი შინაარსი. ამ ტერმინით შეიძლება გამოისახოს თანამედროვე ევროპის მოწინავე ხელოვნების მთლიანი საქმიანობა, როდესაც წამოიჭრა ახალი გზა მხატვრობისა, ახალი შეხედულება მხატვრულ ლირებულებაზე, როდესაც გაგებულ იქნა ნამდვილი წყარო ხელოვნების ემოციებისა, როდესაც მხატვრობის შინაარსი გაგებულ იქნა იმნაირივე სისწორით, როგორც ეს შინაარსი ესმოდათ უველა ქვეყნების და ხალხის საუკეთესო ხელოვანებს, ხელოვნების საუკეთესო პერიოდებში. ხელოვნების ამნაირი შეგნება არ არის ადგილობრივი ხასიათისა, ის მოედო ევროპის უველა ქვეყანას, გასცილდა მას და მსოფლიო.

უნივერსალური ხასიათი მიიღო. ყველა ქვეყნის დოკანდელი ხელოვნების ნამდვილი ნაწარმოები ამ უნივერსალურ იდეებზეა დამყარებული.

კუბიზმის მიმართულების პირველ პერიოდის შემადგენელი მხატვრები შეიძლება დაიყოს ორ კატეგორიად: პირველ კატეგორიას ეკუთვნიან ისინი, რომელნიც ნამდვილი სულის ჩამდგმელი იყვნენ ამ რევოლუციონურ მოძრაობისა, რომელნიც ლრმად განიცდიდნენ ცხოვრების ახალ მოთხოვნილებას და რომელთაც არ აკლდათ დიდი ვამხედვაობა, მათი რევოლუციონერობა მარტო ენტუზიაზმით კი არ ისახებოდა, არამედ შემოქმედებით. ესენი არიან Picasso, Braque, Robert Delaunay, Juan Gris, Albert Gleizes, Jean Metzinger, Fernand Léger.

მეორე კატეგორიას ეკუთვნიან ისინი, ვინც მარტო ენთუზიაზმით ვატაცებული მისდევლნენ ამ მოწინავე მოძრაობას. მაგრამ მათ ნაწარმოებში სჩანდა უფრო პირველი ჯგუფის გავლენა, ვიდრე დამოუკიდებელი შემოქმედება. ამ კატეგორიის საუკეთესო წარმომადგენელი არის André Lhote (Survage, Ortiz, Pruna, Gimmi, Jacques Villon, Bissière, Kupka, Géviges Valmier).

ამ თან კატეგორიის მხატვრებით შეიძლება დასხიათდეს კუბიზმის პირველი პერიოდი. მის შემდეგ მხატვრული საქმიანობის ცვალებაზობა მოხდა შემდევი საფეხურობით. რევოლუციონურ დროის ანალიტიური პერიოდი შეიცვალა სინტეტურ პერიოდით. ღაიშურ პირველ პერიოდის მონაპოვართა გაღრმავება, დალაგება გასპერტიკება, შემთხვევებით ელემენტების ჩამოშორება და კულტურულ ელემენტების შეგნებულად განმტკიცება. ახალ მონაპოვარზე დამყარებით ახალ ღირებულებათა განმტკიცება. ეს მეორე პერიოდი იწყება დაახლოვებით 1920 წლიდან. ამ, ასე ცსოქვათ, სინტეტიურ მუშაობას ეწევა, ერთის მხრივ, ის მხატვრები, რომელნიც წინ რევოლუციონურ სათავეში იდგნენ და რომელნიც ამ მოძრაობის სულის ჩამდგმელი იყვნენ. მეორეს მხრივ, ახალი თაობის ის ელემენტი რომელიც ამ მუშაობაში ახლად ჩაება, ახალი ძალით და ენერგიით.

რაც შეეხება დღევანდელ ვითარებას პარიზის ხელოვნებისა, უნდა ითქვას, რომ დღეს ის ხასიათდება ორი უმთავრესი დაჯგუფებით, ერთის მხრივ არის მოწინავე ელემენტი, რომელიც განაგრძობს რევოლუციონური ხანის (კუბიზმის) მონაპოვართა

გაღმომავებას, მის ორგანიზაციას, სინთეზს, ახალი პირობების მი-
ხედვით ახალი შესაძლებლობის აღმოჩენას. ეს დაჯგუფება წარ-
მოადგენს დღევანდელი ხელოვნების ნამდვილ ცოცხალ ელემენტს,
პროგრესულ ნაწილს (პიკაიღან დაწყებული ანდრე ლოტამდე).
მეორეს მხრივ — კონსერვატიული ელემენტი, რომელსაც
ასე აღვილად ვერ შეუგნია ახალი ცხოვრების პირობები, რომელიც
ან სარგებლობს უკვე მოცუმულ მხატვრულ ფორმულებით და ამი-
ტომ წარსულის მხატვრობაზე ამყარებს თავის ფორმალურ გამართ-
ლებას (ეგრეთ წოდებული ნეო-კლასიკები: André Derain, Ris-
ling, Favory, Suzanne Valadon, Marie Laurencin, Friez, Waroquier...), ან ბუნების უშუალო გადმოცემაზე ფიქრობს (ნა-
ტურალისტები: Dunoyer de Segonzac, Gromaire, van Dongen,
Vlaminck, გერმანიაში Grosz).

აქვე საჭიროა აღვნიშნოთ, რომ დღევანდელ მოწინავე მხატვ-
რობას ერთი კანსაკუთრებული მხარე იხასიათებს, სახელდობრ,
მხატვრულ იდეების სიმრავლე. ძლიერ ხშირია ამ იდეების ცვალე-
ბალობა, ვიდრე ერთი რომელიმე იდეის ხანგრძლივი დამუშავება,
ამიტომ თანამედროვე მოწინავე მხატვრობის ნაწარმოებიც სავსეა
შრავალი იდეებით და ზოგიერთ შემთხვევაში ნაწარმოების გავ-
ლენა ამ იდეებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თვით მხატვ-
რული თვისებებით. ამ იდეების დამუშავებას ჩვენ დროში აქვს
ფილი მნიშვნელობა, ვინაიდან ხელოვნების ახალ ფორმების წარ-
მოშობა დამკიდებულია ბევრ სხვადასხვა ფაქტორზე, რომლის
ანალიზი აუცილებლად საჭიროა. ვინც ამ გარემოებას ანგარიშს
არ უწევს, მისი ნაწარმოები ძლიერ ერთფეროვანია და ნამდვილ
ღირებულებასაც მოკლებული, სწორედ ამ იდეების მრავალფერო-
ვანობით ისხსნება ის გარემოება, რომ მოწინავე მხატვრობის ზოგი-
ერთ ნაწარმოებში ვხედავთ მხატვრულ ფორმების დიდ სხვადასხვა-
ობას.

5. როგორც შემოთ აღვნიშნე, ეკრობის სხვა ქვეყნებთან შედა-
რებით პარიზის ხელოვნებას უკავია მნიშვნელოვანი აღვილი და
დღესაც მას ეს უპირატესობა არ დაუკირგავს. ბევრი სხვადასხვა
პირობები ამას ხელს უწყობს. პირ კელი არის ისტორიული
ტრადიცია. მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში საფრან-
გეთს ეჭირა მოწინავე აღვილი დასავლეთ ეკრობის მხატვრობაში.

6. პარიზის შემოსახული

საფრანგეთმა მოგვცა მთელი რიგი ნიჭიერი მხატვრებისა, რომლის ნაწარმოები მეტად მნიშვნელოვანი იყო თანამედროვე მხატვრობის განვითარებისათვის. მეორე არის ის პირობები, რომელიც შექმნილია ერთის მხრივ, მხატვრული ნაწარმოების კულტურულ დამჯასებლობით და მეორეს მხრივ, ხელოვნების მატერიალური უზრუნველყოფილობით. პარიზი ამ მხრივ გაღაერებულია მხატვრობის საბაზრო ცენტრად მთელ დასავლეთ ქვეყნებში.

მაგრამ რა სახით უნდა წარმოიდგინოთ დღეს ჩვენ ეს პარიზის მხატვრობა? ის არ წარმოადგენს მარტო საფრანგეთის მხატვრობის ხასიათს, არამედ მას უფრო ინტერნაციონალური ხასიათი აქვს. პარიზი იზიდავს ყველა ქვეყნიდან მრავალრიცხოვან მხატვრებს, ამიტომ მოწინავე მხატვრობის მიღწევები არ უკუთვნიან მარტო ფრანგ მხატვრების ნაყოფს, არამედ ის შედეგია სხვადასხვა ქვეყნების მხატვრების საერთო მუშაობისა (ამიტომ მე აյ ეხმარობ ტერმინს პარიზის მხატვრობას და არა საფრანგეთისა).

შემცდარია აზრი, ვითომც პარიზის მიღწევები მარტო ფორმალური საკითხებისა იყოს. სახითხადოდ უნდა ითქვას, რომ მხატვრობის ფორმალურ საკითხებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ნაწარმოების ღირებულებაში, მაგრამ შემოქმედებაში ფორმალური საკითხები აუცილებლად დაკავშირებულია ნაწარმოების შინაარსთან და მის ოემატიურ საგანთან. განკუნებულად აღებული ფორმალური მიღწევა ხელოვნების ნაწარმოებს უერ ქმნის. ის მხოლოდ საშუალებაა რომელიმე შინაარსის, იდეის გამოსახვისათვის. მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ხელოვნებს მიღწევები სწორედ ამ ფორმალურ საკითხებში ისახება და ყოველი დრო თავისებური ფორმალური შინაარსით ხასიათდება. მაშასადამე, სრული შესაბამობაა ვიფიქროთ, რომ ახალი შინაარსი, ან თემატიური საგანი შეიძლება გამოისახოს ძველი ფორმალური საშუალებით. სწორედ პარიზის მოწინავე მხატვრობას ახასიათდეს ის, რომ მას ნათლად აქვს გაგებული მხატვრობის ფორმალური მხარეების დაკავშირება თემატიურ საგანთან და მან არ დააშორა ეს ორი საკითხი ერთმანეთს, როგორც ეს მოხდა ზოგიერთ ქვეყნებში (მაგალითად იტალიაში „ფუტურიზმი“).

თემატიური საკითხი ხელოვნებაში, როგორც ეს წამოყენებულია საბჭოთა ხელოვნების კონსერვატიული ჯგუფების შიერ, პარიზში

ჭერჩერობით ან არსებობს. მაგრამ მოწინავე მხატვერობა, მოწინავე ფორმალურ საკითხებთან დაკავშირებით, სრულებით გვიღის. ამ უხვევს იმნაირ თემატიურ საკითხებს, როგორიც არის მაშინიში, ინდუსტრიული საგანი და მისი შექმნელი მშრომელი ადამიანი.

ამასთანავე განსაკუთრებული ყურადღება არის მიქცეული პარაზის ხელოვანთა მიერ ინდუსტრიალური პლასტიური ფორმებისადმი (ფოტო და კინემატოგრაფი). ეს ორი ახალი პლასტიური საშუალება ძლიერ გამოყენებულია ახალი პლასტიური ფორმის შექმნისათვის, ახალი საგნების გადმოცემისათვის.

რაც შეეხება პარიზის ხელოვნების დღევანდელ სხვადასხვა დაწილებას, აღსანიშნავია ერთი ახალი მიმართულება, რომელსაც კადევ „იზმი“ ახასიათებს, სახელდობრ, ზერეალიზმი („Surrealisme“). მათი მუშაობა უკვე რამოლენიმე წლით ისახვრება. სპეციალური მათი სახე უფრო ლიტერატურაში სჩანს, ვინაიდან მათი დამარსებელნი ლიტერატორები არიან. წინეთ ისინი ეკუთვნოდენ ეკრან წოდებულ დადაისტურ ლიტერატურულ დაჯგუფებას და „ლალას“ — დაშლის შემდეგ, ზოგიერთმა მისმა წევრმა Louis Aragon, André Breton-ის მეთაურობით, რამოლენიმე წლის ინტერვალის შემდეგ, განისრახეს ამ ახალი სახელწოდებით — Surrealisme — სახელით გამოსცელი. მხატვრობის დაჩვში ეს ახალი დაწილება წარმოადგენს უფრო ამხანაგობრივ კავშირს, ვიდრე ახალ ფორმოლოგიას, ან ახალ ფორმალურ მიღწევას. მათი იდეოლოგია და ფორმალური, ან ტექნიკური საშუალებები ეკუთვნიან ზოგიერთ მოწინავე მხატვრების დამოუკიდებელ მუშაობას. მათი ტექნიკური საშუალებები ეკუთვნის ბრაქს, პიკასოს, მხოლოდ იდეოლოგია დამყარებულია Freudisme-ზე, რომელიც არის გადმოცემა შოველგვარ ფიქრების აზრის კონტროლის გარეშე. ამიტომ მათ ახასიათებთ უკიდურესი რომანტიული გადახრა (მხატვრები: Masson, Arp, Max Ernst, Malkine, Joan Miro, Paul Klée, Papazoff). Surrealisme-ის გაუფისათვის უფრო დამახასიათებებულია მათი აქტორი ჩარევა სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებში. ისინი აღიარებენ კომუნისტურ და დეოლოგიას და ცდილობენ დაუახლოვდნენ საფრანგეთის კომუნისტურ პარტიას, კომუნისტური წრეები კი არ ლებულობდნენ მათ თავიანთ წრეში, ბევრი სადაც საკითხების გაშო (Henri Barbusse).

6. ეხლა თუ ჩვენ გადაუხედავთ ევროპის სხვა ქვეყნების ხელოვნებას (გერმანიას, იტალიას) დაივინახეთ, რომ აქაც თანამედროვე მოწინავე ხელოვნება დიდ ექტონბას იჩინს. მხოლოდ განსხვავება არის შედარებით უფრო ნელ ინტენსიონბაში. უვალა ქვეყნების მოწინავე წრე ცდილობს რაიმე ახალი შეიტანოს ამ საქმეში და დაუღალავ მუშაობას ეწევა. აյ მე არ შევუდგები დეტალურად ან გერმანიას, ან იტალიას მოწინავე მხატვრობის დახასიათებას, ვინაიდან ის, რაც საზოგადო ხაზებში შეიძლება ითქვას პარიზის ხელოვნებაზე, ახასიათებს აგრეთვე სხვა ქვეყნების მოწინავე ხელოვნებასაც. საფრანგეთის კუბიზმის მიერ წამოყენებული და გადაწყვეტილი მხატვრული საკითხები იმდენად უნივერსალური და აქტუალურია, იმდენად მის მიერ საღად აღდგენილია მხატვრული წყაროების საბაზი, რომ გერმანული ექსპრესიონიზმი, ან იტალიური ფუტურიზმი შორს რჩება მასთან შედარებით. რამდენად კუბიზმი ადგილობრივი ოვისების გარეშე უნივერსალური ხასიათისაა და უფრო ხანგრძლივი, იმდენად გერმანული ექსპრესიონიზმი და იტალიური ფუტურიზმი ადგილობრივ მოვლენათ არის გადაქცეული და მოკლე ხნით არის განსაზღვრული. ამიტომ ჩვენ ვამჩნევთ, რომ კუბიზმის გავლენა ამ ქვეყნებში ძლიერ მტკიცე ფორმებშია და მოწინავე ხელოვნების სახე ამ გავლენის გარეშე ვერ წარმოდგინდება. ეს მოვლენა უნდა აიხსნას იმ მდგომარეობით, რომ ვერც ფრატურიზმი და ვერც ექსპრესიონიზმი ვერ ეხება პლატიურ საკითხებში მხატვრული ფორმების არსებას. განსაკუთრებით კი ფუტურიზმი, რომელიც, ასე რომ ვთქვათ არის მხოლოდ ახალი ფორმა ნატურალიზმისა, და ამიტომ მხატვრობის წმინდა უორმალურ საკითხებს კი ის არ ეხებოდა.

აღსანიშნავია ერთი გარემოება, მოწინავე ხელოვნების გავლენით (კუბიზმის) დეკორატიული ხელოვნება დიდ წარმატებაშია ეპიზოდის სხვადასხვა ქვეყნებში, განსაკუთრებით გერმანიაში, საღამდარსებულია ერთი დეკორატიული ხელოვნების სასწაულებელი — სახელოსნოებით, რომელიც უნდა ჩაითვალოს ევროპაში სამაგალითო დაწესებულებათ. ამ სასწაულებელში ხელმძღვანელებად მოწვეულია გერმანიის საუკეთესო მოწინავე ხელოვანები. აგრეთვა აღსანიშნავია პოლანდიის მოწინავე ხელოვანთა „Style“-ის ჯგუფი

შეუძლია დეკორატიულ ხელოვნებაში. ამ დეკორატიულ ხელოვნებაში ჩვენ ვხედავთ კუბიზმის მიერ წამოყენებულ მხატვრულ იდეების და ფორმების განვითარებას და საფურცლად მას უდევს სწორედ ის მედმივი და უნივერსალური მხატვრული კანონები, რომლის ხელახლა აღმოჩენა შესძლო კუბიზმა.

7. დასაცლეთ ევროპის თანამედროვე მოწინავე ხელოვნების ამ მოკლე საზოგადო მიმოხილვის შემდეგ ჩვენთვის მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, თუ რა დამოკიდებულებაა ევროპის მხატვრობის მოწინავე იდეების და საბჭოთა კავშირის ხელოვნებათა შორის. ჩვენ ვიცით, რომ ხელოვნების მოწინავე იდეები კუბიზმისა და სხვები, რუსეთშიც თავის დროზე იყო გაღმოსული და აღვილობრივ ხსიათს დებულობდა. მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის პირველ პერიოდში შეწყდა ყოველგვარი კავშირი ევროპასთან და მხატვრული ურთიერთობაც მინელდა. მის შემდეგ თანდათან იზარდა ნორმალური კავშირის საშუალებამ და დღეს შეიძლება. ვთქვათ, რომ ეს კავშირი საბჭოთა კავშირის და დას. ევრ. შორის თითქმის აღდგენილია. მძრივიდ, რუსეთს პერიოდი და ებლაც ძვეს საშუალება გაცნობოდა დასაცლეთ ევროპის მოწინავე იდეებს და ესარგებლა მათი. ამ მხრივ ბევრი რამ არის უკვე გაეთოვებული, მხოლოდ ჩვენთვის საინტერესოა შემდეგი ორი საკითხი: პირველი — არის თუ არა ებლა დამაკმაყოფილებელი გაცნობა ევროპის მოწინავე ხელოვნებისა და, რაც უფრო მნიშვნელოვანია. საკმარისად არის თუ არა ცნობილი ევროპის ხელოვნების ფორმალური შილწევები. მეორე — არის თუ არა საბჭოთა კავშირში რამე ახალი მიღწევა მოწინავე ხელოვნების პლასტიკურ ხელოვნებაში და არის თუ არა მხატვრობის ფორმალური მხარის რამე ახალი აღმოჩენა. პირველ საკითხში ჩვენ პასუხს გვაძლევს თვით რუსეთის მწერლების და მხატვრების მემარცხენა ჯგუფის ორგანოები და ის მხატვრები თუ მწერლები, რომელიც საზღვარგარეთ ჩამოდიოდნენ ამ უკანასკნელი ხეთი წლის განმავლობაში. მათი ასრით ეს გაცნობა არ არის დამაკმაყოფილებელი და რაც უფრო დამახასიათებელია, თურმე დასავ. ევროპის მოწინავე პლასტიკური ხელოვნების მიღწევებს მხოლოდ ღიღი დაგვიანებით ეცნობიან. რაც შეეხება მეორე — საკითხს, ამაზე პასუხს იძლევა შედარებითი საშუალებები. თუ ჩვენ განვითარეთ რუსეთის ყეელა მოწინავე პლასტიკურ ფორმებს და ფორმა-

ლურ მიღწევებს, შევადარებო მათ დასაცლეთ ევროპის მიღწევებს, დაინიახავთ, რომ რამე ახალ ფორმალურ მიღწევებს აქ ადგილი არა აქვს. საბჭოთა პლასტიური ხელოვნების ყველა ფორმალური მხარე წარმოშობილია პირდაპირი გავლენით (ან განმეორებით) და-სავლეთ ევროპის მიღწევებისა, ამავე დროს, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ზოგიერთი ფორმების გადმოტანა უცხოეთიდან ხდება დიდის დაგვიანებით.

მავრამ ყველაფერი ეს არ უკარგავს ღირებულების რუსეთის მოწინავე პლასტიურ ხელოვნებას. რევოლუციის შემდეგ პერიოდში აქ ჩვენ გამჩნევთ ენერგიულ მუშაობას, როგორც ზემოთ ვთქვით, დასავლეთ ევროპის ხელოვნების მიღწევები არ უნდა განიხომებოდეს მარტო ადგილობრივი მნიშვნელობით, ამ მიღწევების მნიშვნელობა უნივერსალურია. რუსეთის მოწინავე ხელოვნებათა შეირ ამ მიღწევებით სარგებლობა დიდ ღირებულებას აძლევს როგორც ადგილობრივი, ეროვნული ხელოვნების წინმსვლელობას, ისე საერთაშორისო საქმიანობას, რაც საზღვარგარეთ მოწყობილი გამოფენებით, ან გამოფენებში მონაწილეობის მიღებით მტკიცდება. ისინი ევროპის ამ ახალი ფორმალური მიღწევებით ახალ ადგილობრივი ხასიათის საგნებს უდგებიან და ორიგინალურ ნაწარმოებს ქმნიან.

ერთი მოვლენა ძლიერ ახასიათებს თანამედროვე რუსეთის ხელოვნებას ეკროპასთან შედარებით, სახელდობრ, მრავალი ახალი დეკლარაციები პლასტიური ხელოვნების შესახებ. ეს მოვლენა რა-საკვირველია გამოწვეულია საერთოდ მოწინავე ხელოვნების მდგომარეობით, რომელიც იმდენად აქტუალურ ფაქტორად არის გადაქცეული, რომ ბევრ ახალ საკითხს ეხება. მხოლოდ, ერთის მხრივ, აქ ეს იდეოლოგიური დეკლარაციები ლებულობენ განყენებულ ხასიათს, ხელოვნებისათვის კი განყენებული დეკლარაციები არავითარ ღირებულებას, არავითარ მიღწევას, ან აღმოჩენას არ ქმნიან, იმიტომ რომ ეს ახალი იდეა თუ მიღწევა თვით მხატვრულ ნაწარმოებით უნდა იქნეს გამოთქმული. მეორეს მხრივ, ზოგიერთი ეს დეკლარაცია, ხშირად რომელიმე იზმით დაბოლოვებული, წარმოადგენს ეკროპის მოწინავე ხელოვნების რომელიმე აზრის ან მიღწევის განმეორებას, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქ ის ლებულობს მარტო განყენებულ ხასიათს.

8. რა დამოკიდებულებაში ვიმყოფებით ჩვენ ევროპის მოწინავე
ხელოვნებასთან? სამწუხაროთ ჩვენ ამ მხრივ ძლიერ ჩამორჩიენილი
ვართ. ჩვენ არ ვიცნობთ და ვერ ვსარგებლობთ უშუალოდ იმ
მიღწეულებით, რომლის მნიშვნელობა უნივერსალური ხასიათისაა,
ჩვენ უნდა ვახსხოვდეს, რომ ვისაც სურს ჩვენი ქვეყნის თანამედ-
როვე ფორმებში. ჩამოყალიბება, ის უნდა სარგებლობდეს საზო-
გადო მნიშვნელობის მიღწევებით. ამ ხერხით მხოლოდ ქვეყანა აღ-
წევს პროგრესს. ჩვენში ჯერჯერობით ეს აზრი არ არის განმტკი-
ცებული, პირიქით, ხშირად ვაიღონებთ შემდეგ აზრს, რომ ჩვენში
მოწინავე ხელოვნებას არ აქვს ნიადაგი, ვინაიდან ჩვენ დაქვეითე-
ბული ქვეყანა ვართ და რომ ის ეტაპები ხელოვნების მსვლელობისა,
რომელიც განვლილი იქვს ევროპას, ჩვენში უცნობია. ამიტომ
ჩვენ ან ჩვენი გზით უნდა ვიაროთ, ან ჯერ ეს ეტაპები უნდა იქ-
ნეს განვლილიო. ეს აზრი მთლიანად უსაფუძვლოა. ამ აზრს რომ
გავუვთ, ჩვენ ვერასოდეს ვერ გავუთანასწორდებით არსებულ
კულტურულ დონეს. დღევანდელი კულტურის ფორმები სწორეთ
იმით ხასიათდებიან, რომ მათ უნივერსალური ხასიათი აქვთ და
კველასათვის ყოველ ტრადიციულ პირობებს გარეშე მისაღები
ხდება. ის შესაძლებელია პირდაპირ შემოიჭრას ჩვენს დაქვეითე-
ბულ ცხოვრებაში და ორალური არსებობა მიიღოს. არავითარი
მოსამადგებელი გზები ამისათვის სიჭირო არ არის. სრულებით შემც-
დარია ის აზრიც, რომ თუ ჩვენ ამ გზას დავადეჭით, ჩვენ ვკარ-
გავთ ჩვენი ხელოვნების თავისებურებას და ეროვნულ ელფერს,
საყითხი ისე კი არ უნდა დავაყენოთ, რომ ვითომც შეუგნებლად
დავამკვიდროთ ჩვენში უცხო ქვეყნის ხელოვნების გარეგნული
ფორმების მიმბარეველობა. თუ ეს ასე მოხდა, მაშინ, რასაკირვე-
ლია, არავითარ ეროვნულ ხელოვნებაზე არ შეიძლება ლაპარაკი.
ჩვენ უნდა ვსარგებლობდეთ დღევანდელი კულტურული ქვეყნების
მიღწევების ფორმალური მხარეებით და ახალი და თანამედროვე
მსოფლმხედველობით მივუდევთ ჩვენს განსაკუთრებულ ცხოვრე-
ბას და არსებობას. მხოლოდ ამ გზით შეიძლება შეიქმნოს ნამდვილი
ლირებულების ნაწარმოები, როგორც ადგილობრივი, ეროვნული
მნიშვნელობისა, ისე საერთაშორისო. ამრიგად, თანამედროვე ხე-
ლოვნების მოწინავე ფორმალური მიღწევებით ჩვენ პირდაპირ და
უშუალოდ უნდა ვსარგებლობდეთ, და მხოლოდ ამ გზით შეგვიძ-

ლია დამოუკიდებელ შემოქმედებაში გადავიდეთ და ნამდვილი დირებულების შექმნის უნარი მოვიპოვოთ (გრიგოლ რობავიძე).

9. მაგრამ მე ხას ვუსვამ მოწინავე იდეების პირდაპირ და უშუალოდ ჩვენს მიერ გაცნობას, იმიტომ, რომ საქართველოს რეალურ მდგომარეობაში შეიძლება კიფიქროთ, რომ შესაძლებელია ამ იდეების გაცნობა არაპირდაპირ, სახელდობრ, რესეტის მოწინავე ხელოვნების საშუალებით. მაგრამ საქმე ისაა, რომ როგორც ზემოთ აღნიშნე, რუსეთის მოწინავე ხელოვნების იდეები პირდაპირ ეკრაბის იდეების გაცნებით არის შექმნილი და წარმოადგენს ზოგიერთ შემთხვევაში განმეორებას და ზოვიერთ შემთხვევაში კი ორიგინალურ ინტერპრეტაციას ამ მოწინავე მიღწევებისა. რასაკვირველია, საუკეთესო მათი ხელოვანი აუცილებლად ქმნის ღირებულებას არამც თუ ადგილობრივი მაშტაბისა, არამედ საერთაშორისო ხელოვნების მნიშვნელობით. მაგრამ ახალ იდეებში და მოწინავე ფორმალურ მიღწევებში მთლიანად დამოკიდებული არიან ევროპის მოწინავე ხელოვნებასთან. რუსეთის მოწინეულებების მნიშვნელოვანი განვითარება სწორედ იმით აისახება, რომ ის პირდაპირ და უშუალოდ დაახლოვებულია ევროპის იდეებთან და უშუალოდ ეცნობა მას (მოსკოვის არქიტექტურული ჭრეფი — ფუნქციონალიზმ. Jeanneret-Le Corbusier). ჩვენც ამ გზას უნდა დავადგეთ. უნდა გამოვნახოთ ეკრანის მოწინავე იდეებთან პირდაპირ და უშუალო დაკავშირების საშუალება. ასე, როგორც რუსეთი, ჩვენც უნდა ვსარგებლობდეთ ევროპის მოწინავე ფორმალური მიღწევებით და უნდა ვქმნიდეთ ორიგინალურ ნაწარმოებს ჩვენს, ქართულ პირობებთან დაკავშირებით. დღეს კი ჩვენი ხელოვნება ძლიერ ვიწრო ფარგლებში არის მომწყვრეული, ჩვენ არ ვიკონტ თვით მოწინავე მიღწევების წყაროს, და არ გვაქვს სწორი წარმოდგენა სავანზე. ამ მიზეზით ჩვენი ნორჩი მოწინავე ხელოვნება ვერც ჩვენ პირობებთან არის დაკავშირებული, ვერც თანამედროვების შინაარსს განიცდის და ორიგინალურ აზროვნებასაც არის მოკლებული.

რუსეთში მოწინავე ხელოვნება, სახელწოდებულია მემარცხენებით. ეს ძლიერ დამახასიათებელია რუსეთის საზოგადო ცხოვრების ოვალსაზრისით. ამ ტერმინით მოცემულია საერთაშორისო

გოწინავე ხელოვნების მოძრაობის ადგილობრივი ხასიათი ადგილობრივი პირობების მიხედვით და საყურადღებოა რომ ამ ტერიტორიის სახელშოდებით მოქმედობს რუსეთში ხელოვნების ერთი გოწინავე ჯუფიც — ლეფ — მემარცხენე ფრონტი. აქ თუმცა ზედმეტია, მაგრამ მაინც უნდა აღვნიშვნოთ, რომ ყოველგვარ ამ სახის ლოზუნგებს აუცილებლად აქვს მნიშვნელობა, ვინაიდგან ის სახავს მოელ მოქმედების შინაარს. ჩვენთვის დამახასიათებელია ის მოვლენა, რომ ჩვენი მწერლობის ერთი მოწინავე ჯუფიც იგივე სახელშოდებით გამოდის — მემარცხენეობა. აშკარაა, რომ ეს ჯუფიცი განიცდის გავლენას რუსეთის მემარცხენეობისა და თუმცა მათი გამოსვლა აუცილებელად დადგებოთი მოვლენაა, მაგრამ ჯერ-ჯერობით მათ აკლიათ ჩვენთვის საჭირო ორიგინალური აზროვნება და ორიგინალური შემოქმედება. ამიტომ გასაკირველი არ არის ის უცნობური სახის რეცენზია, რომელიც მოთავსებული იყო უურნალ „ლეფ-ში აბლად გამოსულ ქართულ უერნალ „მემარცხენეობის“ შესახებ, ამ რეცენზიიდან სჩანს თუ როგორ დარჩეტიურ დამოკიდებულებას კრძობს „ლეფ“-ი ქართულ „მემარცხენეობასთან“.

10. დასასრულ მინდა შევეხი მხატვრობის ინსტრუქციულ საქმიანობას საქართველოში. ამ საგანზე ჩვენში არსებობს ორი შესედულება. პირველი არის ფალემიური შეხედულება, მეორე ეკუთხნდა ბეჭდვით ორგანოებს. ერთიც და მეორეც ხასიათდება ძლიერი კონსერვატიული აზრებით და მეთოდით. ამ მეთოდზე აგებული მუშაობა ჩვენს ხელოვნებას წინ ვერ წასწევს.

ვარევნულად რომ საქმეს შევხედოთ, ასე ჩანს, რომ ჩვენი აკადემიური მიზანი უნდა იყვეს აღზარდოს ტექნიკური მომზადებული მხატვრული ძალები. მაგრამ განა შესაძლებელია განყენებული ტექნიკური ძალების არსებობა მხატვრობაში. შეუძლებელია რამე სიღ ტექნიკურ საშუალებებზე ლაბარაცი მხატვრობაში, რა მას არ მოსდევს ღრმა შინაარსის შემოქმედების არსებობა. ჩვენს ფალემიაში, და საზოგადოებაშიც ჩანს, მხატვრობაზე წარმოგვენა ასეთია: საქმიანისია, რომ ადამიანმა ხატვა და ხაზვა უკოდეს, რომ ის მხატვარი იყოს. ამდაგვარი მხატვრების არსებობა მხატვრული კულტურული დონესათვის შეტან უმნიშვნელობა არ არის.

ელოა. საჭიროა კიდევ ზეღმეტი — მხატვრული სული, მხატვრული აულტურული სიმაღლე. მხატვრების კულტურული დონე თვით საზოგადოების კულტურულ დონეს ნიშნავს. საზოგადოებრიოების მნიშვნელობით მხატვრის ღირებულება სწორედ იზომება იმით, თუ რა მხატვრულ კულტურულ დონეს ატარებს ის. ამასთანავე, ამდაგვარი მხატვრების არსებობა წარმოადგენს ნამდვილ ლირებულებას წმინდა უტილიტარულ მნიშვნელობითაც. ვინაიდან მხატვრული კულტურის ბეჭედი უნდა აჯდეს მხატვრული წარმოების ყოველგვარ საგნებს, ყოველგვარ მხატვრულ სიქმიანობას, მოქმედებას და ვინ უნდა იქნეს ამის მომწესრიგებელი და გამტარებელი, პირდაპირ თუ არა პირდაპირ გავლენის მომხდენი ფაქტორი, თუ არა მხატვრები, შესაფერ ტექნიკურ და კულტურულ დონეზე ასული. ამ მოსაზრებით ჩვენი ყადემიური მიზანი უნდა იქნეს აღზარდას ახალგაზრდობა მხატვრულ კულტურულ ნიადაგზე. თუ ეს ასე არ მოხდა, ყოველგვარი ყადემიური დაწესებულება ჩვენი მხატვრობისათვის სრულებით უმნიშვნელო იქნება.

მეორე აზრი ჩვენი მხატვრობის შესახებ ეკუთვნის ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებას“. აქ ნათქვამია, რომ დღევანდელი ჩვენი მხატვრობა აუცილებლად განიცდის კრიზისს. ეს კრიზისი გამოწვეულია ახალ თემატურ მასალის გამოყენებლობის გამო თა მის საცდელად საჭიროა, რომ ჩვენი მხატვრობა გადავიდეს ახალ თემატურ საკითხებზე, რომელიც წამოყენებულია ოქტომბრის რევოლუციის მიერ. ზემონათქვამიდან ცხადია ამ აზრის უსაფუძვლობა. ერთის მხრივ, აქ ლაპარაკია ქართული მხატვრობის კრიზისზე, როდესაც ამ საგანზე ჩვენში ჯერ-ჯერობით ლაპარაკი შეუძლებელია, ვინაიდან კრიზისი გულისხმობს რეალურ ძალთა განწყობილების დაგახებას, რაც ჩვენი მხატვრობის მდგრამარეობაში ჯერ არ არსებობს. მეორეს მხრივ, განა შესაძლებელია ლაპარაკი განყენებულად თემატური საგნების მნიშვნელობაზე მხატვრობაში? და ვის გაუვონა, რომ მხატვრობის კრიზისი გამოწვეული ყოფილიყოს მარტო თემატური საკითხებით. შესაძლებელია მხოლოდ ერთი — განსაკუთრებული მიზნისათვის მხატვრობა იქნეს გამოყენებული საჭირო თემატურ საგნებისათვის. ამ შემთხვევაში მხატვრობა ასრულებს მხოლოდ თავის წმინდა უტილიტალურ დაწინულებას.

მაგრამ როდესაც საკითხი დგას მხატვრობის კულტურულ და

ნიშნულუბაზე, მის ფართო სახოგადოებრივ ლირებულებაზე, მა-
შინ შეუძლებელია მარტო თემატურ საყითხებზე ლაპარაკი, რომ
მხატვრობის სხვა მხარეებს თვით დავანებოთ და მარტო თემატურ
საყითხებზე ვილაპარაკოთ, შეუძლებელია მისი დაშორება მხატვ-
რობის ფორმალურ საყითხებთან. როგორც ზემოთ აღნიშნე, ფორ-
მალური მიღწევის გამოყენება განცენებულად არ ქმნის ხელოვნე-
ბის ნაწარმოებს. ახალ ფორმალურ მიღწევის მოსდევს საგანზე ახა-
ლი მიღობა, ახალი იდეა, და ახალი შინაარსი და ყოვლად შეუძ-
ლებელია ძველი ფორმალური საშუალებით გამოვსახოთ ახალი თე-
მატური საგანი.

ყოველგვარ კრიზისზე ლაპარაკის გარეშე ჩვენ უნდა ვისრუნოთ
ჩვენი მხატვრულ კულტურის ამაღლებაზე და ამისათვის უნდა
იქნეს შექმნილი ხელსაყრელი პირობები. როგორც ჩანს, აყალები-
ის მეთოდი ვერ იძლევა დამაკმაყოფილებელ შედეგებს. იმიტომ
რომ მეთოდი, რომლითაც აყალებია სარგებლობს თითქმის
ათეული წელიწადი, არის ჩამორჩენილი დღევანდელ დღეს. ერთი
ამ უნდა გვახსოვდეს, ის, რომ თანამედროვეობას და აქტუალობას
მხატვრობაში სახავს ახალი ფორმალური მხარეები და ყოველ-
ოვის ამ უკანასკნელით იშომება მხატვრული კულტურული დონე.

ჩვენი მხატვრული საქმიანობა უნდა წარმოებდეს იმ მიზნით,
რომ მხატვრული კულტურა შეესაბამებოდეს თანამედროვეობას,
რაც გულისხმობს მხატვრობის ფორმალური მხარეების განმტკიცებას
და შინაარსის დაკავშირებას აქტუალობასთან. ჩვენი მხატვრობის
პროგრესი მხოლოდ ამაშია.

* * * * *

1928 წ. მაისი

დღევანდელი ამ მცირე მოხსენების საგანს არ შეაღენს უშუ-
ალოდ განხილვა ჩემი ნაწარმოებების გამოფენის შინაარსისა. მე მი-
მართი სრულებით ზედმეტად და შეუძლებლად ჩემი გამოფენის
შესახებ რაიმე მოხსენების გაკეთება, ვინაიდან თვით გამოფენილი
ნაწარმოები არის უტყუარი მეტყველი ჩემი მხატვრულ მხედვე-
ლობისა. ამიტომ ეს მცირე მოხსენება შეეხება უფრო სხვა რიგის
საყითხებს, სახელდობრ შემოქმედებისა და თანამედროვეობის
პრობლემას, რომელსაც მხოლოდ შინაარსობრივი კავშირი აქვს
ჩემს ხელოვნებასთან.